საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა საერეოლუციო პარტია

№ 183 ხუთშაბათი, მარტის 1 (14) 1918 წ. № 183

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ოსმალეთა სამშვიდობო დელეგაცია ტრაპიზონს მივიდა

—დელეგაცია სუთი კაცისაგან შესდგება.—ოსმალებმა განაცხადეს, რომ მათ მტკიცე ზავის შეკვრა სურთ.—ცარსკოე სელოდან დეპეშა მოვიდა, რომ მთავრობა უკვე მოსკოვში გადავიდა.

F263 N567

განცხადების ფასი: ხუთეულებრივი ტრიკონი პირველ გვერდზე პეტიტით ლირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ... ლირის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: ტრიკონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხაზგასმიანი ... ადგილისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ლირს 8 მან., 20×2 ლირს 12 მან., 8 ხაზის შემდეგ ხაზგასმიანი ... ადგენ მიიღება ხტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თბილისი, ალექსანდრეს ქუჩა, „ნადეჟდა") ბარიანის ქუჩა, სახლი № 14 ... ლირეგა ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

12—29

კოოპერატივებო და კოოპერატორებო, დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით. ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

1061

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია, ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

გაზეთი „სახალხო საქმე" ლირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ლირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ხალამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

მე-8 ქართულ მარიოლელ პოლკის კომანდირი და ოფიცრები ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ დღეს 1 მარტს ქალაქ ... 9 მ. გიორგის ეკლესიაში 12 საათზე დანიშნულია პანაშვიდი დაუვიწყარი და ძვირფას ამხანაგის, ვერაგულად მოკლულის მოვალეობის აღსრულების დროს. ПРАПОРЩИКА

სოლომონ ალექსის ძის ყაზახაშვილისა.

267

მარიამ და გიორგი ყაუხჩიშვილები და მათი შვილები: ანეტა, მარგალიტა, მარია და სიმონ აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ 2 მარტს ერთი წელი შესრულდება, რაც გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი შვილი, ხოლო მეორეთა დაუვიწყარი და

ლუსია ყაუხჩიშვილი

... რის გამოც 2 მარტს, დილის 9 საათზე, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ქ. ქუთაისში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი.

257

... ნე და ელენე გომართელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ... ობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 27 თებ... ალს მიიცვალა ტფილისში მათი ტკბილი და დაუვიწყარი დედა

სალომე გომართელი

დაკრძალვა ს. გორისაში 3 მარტს.

260

სარა ფირანის ასული, ანტონი და ვალერიანი სიკოლოზის ძენი ... ლაშვილები აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 2 მარტს, ჩვ. ... 9 მ. ნიკოლოზის ეკლესიაში და განსვენებულის საფლავზე მარტყოფის ოვთაების საკრებულო ტაძრის ეზოში გადახდილი იქნება ნანეტარი წლის პანაშვიდი საყვარელი და დაუვიწყარი შვილისა და ძმის, პრაპორშჩიკის

პეტრე ნიკოლოზის ძის ჭილაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 ს.

264

გულდამწყალ მამიდა ... ზ. ... ასული ... ... მარკოზ ტაბიშაძეს, შვილებსა და ... ... ნათესავ... ... ნაცნობთ ... ...

ქართველ მაჰმადიანების ზნეობრივი და მატერიალური მოვალეობაა საშშობლოს დამცველ ქართველ ერის ჯარის მხარში ამოუდგეს და ყოველი ნაბერი შამფულისა სისხლით დაიცვას.

დღევანდელმა გაჭირვებამ უნდა კიდევ უფრო გამოჭედოს ქართველობის ერთობა, ბრძოლამ აღამაღლოს საქართველოს სახელი, რათა საქართველოს მომავალი ქართველ ერს და მის კეთილ მეზობლებს სიხარულს გვრიდეს.

დიადი ჟამი

ქართველო ერო! დადგა დიადი ჟამი განსაცდელ სა! დადგა ჟამი ყოფნა არ ყოფნისა საქართველოსთვის! დადგა ის დიადი წამი ქართველის ცხოვრებაში, როდესაც ყველამ, დიდმა და პატარამ, ღარიბმა და მდიდარმა, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა, ყველა ერთად, ერთსულოვნად უნდა შემოკრბეს ერთ ნულ საბჭოსთან და თავისი შეერთებული ძალით და ლონით, ფიზიკურად და ნივთიერად დაეხმაროს ეროვნულ საბჭოს, რომ ის მხნედ და მედგრად გაუძღვეს ერის საქმეს, რომ ქვეყნის მჩაგვრ ძალამ ვერ შესძლოს დაბლა დასცეს საქართველოს რევოლუციონური დროშა.

მტერს, რომელმაც უნდა გულს ლახვარი გვკრას და ჩვენი წმიდათაწმიდა დროშა ძირს დასცეს, პასუხი უნდა იმავ ლახვრით.

„რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამჩრუნგდება?"

დეე, ვეწამოთ მოყვასისათვის, დეე ვეწამოთ დიდი რევოლუციის დროშის დაცვისთვის, აღგვენთოს ყველას გული სამშობლოს სიყვარულით და დეე მთელმა მსოფლიომ სთქვას: „კვლავ ეწამა მოყვასისთვის საოცარი იგი ერი. კვლავ დიდგა დიდ წამების მან გვირგვინი მშვენიერი".

კ. მესხი.

ომი და აჭარა

დღეს ჩვენს გაზეთში საყურადღებო ანგარიშია დაბეჭდილი ქობულეთში მომხდარ მიტინგისა. მართალია ოსმალეთთან ჯერ კიდევ არ შეგვიკრავს ზავი, მაგრამ არც ომს ვაწარმოებთ მასთან, ჩვენი ღვიძლი ძმები—აჭარლები ჯერ საკუთრებით ჩვენთან არიან და ისინიც კი ვერ გამოამეტ ვნებენ ქართველობის მტრობას, რომელთაც ისტორიაც დავიწყებია, შთამომავლობის ამბავიც და ეროვნული მოვალეობაც. მიუხედავად ამისა ქობულეთის მიტინგი ჩვენ ძალიან ცუდ გუნებაზე გვაყენებს და იქვს გვიბადებს, რომ ჩვენს მოძმე აჭარლებს დღესაც კარგად არ აქვს გარკვეული თავისი აზრი საქართველოსა და ოსმალეთზე.

მაჰმადიან ქართველს მიტინგზე განუცხადებია, რომ ოსმალეთთან ომის დროს ქართველობას აჭარლები ჯარის კაცად ვერ გაყვებიან, თუმცა ხარკამეჩებით და ცნობების მიწოდებით ქართველობას დაეხმარებიანო. დღევანდელ პირობებში ამას ამბობენ დაბა ქობულეთში და ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ისიც, თუ რას იტყვიან აჭარის ის ჩვენი ძმები, რომელნიც ოსმალეთის საზღვართან უფრო ახლოს არიან, რომელნიც ქობულეთლებივით ახლო არ განიცდიან ქართველობის კავშირს.

მიტინგზე მკაფიოდ გამოითქვა აზრი, რომ ყოველ საშუალებით უნდა მოისპოს თანამედროვე ომი. ჩვენმა ძმებმა აჭარლებმა ამ შემთხვევაში გიმეორეს ქრისტიან ქართველების აზრი ომის შესახებ. არც ერთ რჯულის და რწმენის ქართველს დღეს ომი არ სწყურია და ყველა ცდილობს ზავის ჩამოგდებას. მშვიდობიანობის მოყვარე საქართველომ უკვე წარმომადგენლებიც გაგზავნა ტრაპიზონში.

მაგრამ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ შესაძლოა ომი მაინც გაჩაღდეს ოსმალეთთან. ოსმალეთი თანამედროვე ომში დამარცხდა, ოსმალეთმა ომი ინგლისელებთანაც წააგო და რუსეთთანაც. მაგრამ დღეს კი ძალიან გათავხედებულია და ისეთ ზავის შეკვრას მოითხოვს, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულს შეეფერება.

არც ჩვენ მივსდევთ მაინცა და მაინც ომში დამარცხება-გამარჯვებას. ჩვენი მიზანია ომისა თუ მშვიდობიან მოლაპარაკების საშუალებით ერები დაუახლოვოთ თავს ბუნებრივ ტერიტორიას, ეროვნული სხეული არ დავკარგოთ, ძმები არ გავიჩეთ. ოსმალეთსაც ეხლა ამასვე ვუბნებით. ჩვენ არ გვინდა ოსმალეთის არც ერთი ისეთი ადგილი, სადაც არა ქართველი მოსახლეობს, მაგრამ ნებას ვრავის მივსცემთ შემოიჭრას ჩვენს სახლში და დაანგაწილოს კერა, როგორც მტერს მოესურვება.

სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო გაერუკვეთელი მთლიანი არსება. ქრისტიანი და მაჰმადიან ქართველის დედა ერთია, ერთია საშშობლო, ერთია ენა, ერთია ცხოვრების პირობები და ოსმალეთს კი სურს ეს ერთი ქვეყანა და ერთი ხალხი დაყოს რამდენიმე ნაწილად, ცალ-ცალკე დაგვუძლუროს, დაგვამონაოს, ბეგების ხელში ჩაგვტოვოს და თავისუფლების ალი მოისპოს.

ჩვენ, გურულები, მეგრელები, იმერლები, კახელები, ქართლელები, მთიანა და ბარის ქართველები, ერთი სიტყვით—ქართველობა ვერ შეურიგდებით ჩვენს ასეთ გაბატონებას, აჭარელი იქნება თუ გურულის გაყოფას და ასე ნაწილ-ნაწილად დაუძლურებას.

სამაჰმადიანო საქართველო ნაწილია მთელი საქართველოსი, მაგრამ ეს ადგილი იმათ ეკუთვნის, ვინც იქ ცხოვრობს, სამაჰმადიანო საქართველო იქნება განთავისუფლებული თვითმართველი ერთიული საქართველოსი, სადაც ცხოვრების სათავეში დადგება აჭარლების არჩეული პირები და არა ზევიდან დანიშნული მოხელეები. აჭარის ბედი თვითონ აჭარამ უნდა განაგოს, აჭარის პარლამენტმა უნდა გამოარკვიოს აჭარისათვის საჭირო კანონები, აჭარელი მიწის მუშა უნდა დარჩეს მიწის ბატონ-პატრონი და არა სხვა რომელიმე ძალა.

ოსმალეთი დღესაც ბურჟუების და თავადების ქვეყანაა, სადაც ოსმალეთის მტარვალება მიმატებია გერმანიის და საფრანგეთის ბურჟუა-მტარვალები. ბათომის მხარეში ოსმალეთის გაბატონება ოსმალეთის ძველი წეს წყობილებაა, ევროპის კაპიტალისტების გაბატონებაა. ასეთ პირობებში აჭარა სავსებით დაეცემა და დაკარგავს ყოველ საცხოვრებელს.

მაგრამ ალალხს, მოვშორდით რუსეთის მტარვალებს, ამიერიდან ომი უნდა გამოუცხადოთ ოსმალეთის მტარვალებსაც. საქართველოს ბრძოლა თავისუფლებისთვის ბრძოლაა, მუშა ხალხის დაცვაა, თვითმართველობის ბატონობაა, მიწის გადასვლაა მიწის მუშის ხელში.

აჭარლები უნდა ჩაუკვირდნენ საქმის ამ მდგომარეობას, აწონ-დაწონონ ყოველივე და გაბედული ნაბიჯი გადადგან. აჭარამ აჭარა უნდა დაიცვას არა მარტო თოფით და ბარით, იარაღითაც და სისხლითაც! ეს აჭარლების უწმიდესი მოვალეობაა.

აჭარაში უნდა იყოს შეიარაღებული ჯარი ხოლოდ აჭარლების და არა ოსმალეთის. საქართველოს ხალხი აჭარაში არ შემოუშობს არც ერთი ოსმალეთის სალდათს, ვინაიდან აჭარაში უნდა იყოს მხოლოდ აჭარელი—სხვები კი უნდა იყვნენ სტუმრებად მასპინძელ აჭარელთან. ასე უყურებთ ჩვენ—აჭარის მოძმენი საქმის მდგომარეობას, და ასევე უყურებს საქმეს ყოველი აჭარელიც, რომელსაც თვალი გაუხელია და კარგს ცუდისაგან არჩევს.

ვამეორებთ, საქართველოს ომი არ უნდა, მაგრამ თუ ოსმალეთმა მოინდომა თავისუფალ საქართველოს ნაწილების დაპყრობა და დამონებებ—მაშინ ხელში იარაღი უნდა ავიღოთ და ომისათვის გავემზადოთ. ეს ომი არსებითად აჭარისათვის იქნება ომი განმანთავისუფლებელი, ომი სიცოცხლეთვის. ამ ომში დიდი როლის თამაში შეუძლია აჭარას და თუ აჭარელს მართლა სურს თავისუფლება, დედასთან და ძმასთან ცხოვრება, თუ აჭარელი არ დალატობს წარსულსა და აწმყოს, მამისა და დედის ანდერძს, ამ ომში უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა და თავისი მკერდით დაიცვას თავისი სატახტო ქალაქი—ბათომი.

ბათომი—აჭარის სატახტო ქალაქია, აქ უნდა იყოს აჭარის პარლამენტი, აქ უნდა იყოს აჭარის კულტურის ცენტრი, აქ უნდა გაძლიერდეს მთელი სამაჰმადიანო საქართველოს ცხოვრება. ოსმალეთის ხელში ბათომი სულ მოკლე ხანში გარდაიქცევა ბერძნების, ფრანგების და გერმანელების ქალაქად. გამოიძევებენ აჭარლებს და აჭარის მუშა ხალხს გაამათხოვრებენ, მონობაში ჩაგდებენ.

თუ სურს აჭარას არ გაღარიბდეს, არ გაკოტრდეს, არ გაველურდეს უნდა დაიცვას ბათომი. შეხედეთ რა გორიცავენ თათრები ბაქოს, სომხები—გუმბრს, ქართველები—ტფილისს—ისევე უნდა ნდა დაიცვან აჭარლებმა ბათომი.

აჭარლებმა უნდა სთქვან, რომ აჭარა ღვიძლი შვილია საქართველოსი და იგი პირველ ყოვლისა აჭარელს ეკუთვნის და შეუძლებელია აჭარაში ოსმალეთის და ევროპიელების გაბატონება. ამისათვის აჭარა ფეხზე უნდა დადგეს ყველ წამს და იარაღით ხელში, დაიცვას თვისი წმიდა სამშობლო. ამ დიდ საქმეში აჭარელი თავს ობლად არ იგრძნობს, მასთან დადგება მთელი შეგნებული საქართველო და სისხლით დაამტკიცებს, რომ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ძმები არიან, რომ საქართველოს დაყოფა—შეუძლებელია.

მებრძოლი.

ბრძოლა თუ დემოგოგია?

დღეს ჩვენს წინაშე ერთი საკითხი არსებობს: სამშობლოს დაცვა. ყოველგვარი სხვა ღირებულება უმნიშვნელოდ არის გადაქცეული, ყოველი სხვა აზრი დღეს უაზრობას წარმოადგენს. რუსეთი დაიღუპა არა იმიტომ, რომ ნაკლებად ყვიროდენ სოციალიზმზე, არამედ იმიტომ, რომ სამშობლოს ხსენება იყო მიჩქმალული, ეროვნული საკითხი იყო დავიწყებული.

რუსეთის რევოლიუცია შესანიშნავ გაკვეთილს იძლევა იმისას, რომ მყვარალა ფრაზები უმნიშვნელოა თუ დემოკრატია მტლად არ ედება ეროვნებას. ჯერ ეროვნება, შემდეგ სოციალიზმი, სოციალიზმი ერის გარეშე—ამსურდია. ეს ეხლა საანბანო ჭეშმარიტებაა და თუ ეს ანა ბანა დავიწყეთ დღეს—საქართველოსაც ის ბედი მოელის, რომელმაც მოსპო დიდებული რუსეთი.

მაგრამ ქართველ ერის საუბედუროდ არავითარი ნიშანი არ არის, რომ ისტორია ვისწავლოთ და გაკვეთილი მოვიგონოთ. ჩვენი ცხოვრების მესვეურებს სურთ სავსებით გაიმეორონ რუსეთის მაგალითი და ის დღე დაიყენონ ჩვენ ქვეყანას, რა დღეც დაადგა უბედურ რუსეთს. ამ საქმეს სჩადიან არა მარტო იდეური მოწაფენი რუსული იმპერიალიზმისა, არამედ თვით რუსებიც, რომელნიც ეხლა პეტროგრადიდან ტფილისში მოკალათებულან და თავისუფლად ქადაგებენ სასახლის დარბაზებში იმ ექსპერიმენტებს, რომლებმაც უფსკრულში ჩაავდო უზარმაზარი რუსეთი.

სოციალ-დემოკრატი კოროლიოვები, ვოლსკები, ვოიტინსკები, წერეთლები და სხვა ეგზემპლიარები კმაყოფილდებიან არა მარტო თავისუფალ ცხოვრების საშუალებით, რაიცა მათ აქვთ ჩვენს სამშობლოში, აქტიურ ბრძოლასაც იწყებენ და სავსებით იმეორებენ ჩვენში რუსეთის შეცდომებს, რუსულ შოვინიზმის და ნაციონალიზმის ეს ტიპიური წარმომადგენლები პრესიდან გადადიან სარევოლიუციო ორგანიზაციაში და ამნაირად აკეთებენ საქმეს, რომელთაც მონელება შეუძლებელია უბრალო მასლათშიაც.

—

ამ დღეებში ჩვენ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეთ „ცენტრს" ეროვნულ ბრძოლის მიჩქმალვის გამო, ქართველობის და ყველა ადგილობრივ ერების შეურაცყოფისათვის, ხოლო „ცენტრის" გაზეთი „იზვესტია" 27 თებერვლის ნომერში თავის საშინელ დებულებებს უფრო ამარტივებს და საკვირველ ანშლანგითაც გვიმასპინძლდება: ნაცვლად ეროვნულ დამფუძნებელ კრებისა, გაზეთის ექვს სვეტზე გაჭიმულია ლოზუნგი სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევისა!—ალბად ქალაქ ტფილისში!..

კაი ხანია ამ ლოზუნგის სულისკვეთებით გამჭვალულია ჩვენში ტფილისის მარტის რევოლიუციონერები, მილიუკოვის შეგირდები—სემიონოვი, ამირაღოვები, ხოლო რუსეთში პურიშკევიჩები, მარკოვები და ძმანი მათნი. მაგრამ თუ ამ იმპერიალისტურ, ეროვნებათა უარმყოფელ აზრს დღესაც დაადგებოდა ჩვენში „ცენტრი" და მისი გზაგზი—ეს წარმოდგენასაც აღეკვეთებოდა.

მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ამ ამკარა ხელგანურ და ეროვნულ პრინციპის უარმყოფელ მოძრაობას, ცენტრალისტურ კამპანიას ხურვალე გრძნობით გამოესარჩლა ქართული გაზეთი—„ერთობა" და ჩვენდა გასაწბილებლად დემაგოგიურ ფანდებით სავსე წერილი გამოქვეყნა.

ჩვენ ამ წერილს—რასაკვირველია—ყურადღებასაც არ მივაქცევდით, რომ აქაც ის მთავარი საქმე არ გვაინტერესებდეს, რაიცა უნდა გააკეთოს დემოკრატიამ, თუ მას არ უნდა თავზე დაეტეხოს რუსეთის უბედურება.

რუსის ყოველმა ბაკალამ ეხლა საოცარი ბრძოლა დაიწყო ამიერკავკასიაში ეროვნულ პრინციპის მოსასპობად. ლაპარაკია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე და რუსის იმპერიალისტები აქედან ცენტრალისტურ რუსეთის აღდგენას ლამობენ. ამისათვის იბრძვის რუსობის ყოველი წრე დაწყებული შავრაზმელებიდან და გათავებული „სოციალისტებამდე". ჩვენ არ გვაინტერესებდა შავრაზმელების საქციელი, მაგრამ როცა ეროვნულ საკითხში შავრაზმელებს გვერდში ამოდგომია სოციალისტებიც, რომელთაც პრაქტიკული გავლენა აქვს მთელს ცხოვრებაზე—ჩვენ არ შეგვიძლიან გავჩერდეთ, ხელი ხალხს არ დავანახოთ ერის დამდუპველი მოღალეობა.

ყველაზე, მკაფიოდ ეხლა ეროვნულ იდეის უარყოფას თეორიულად და პრაქტიკულად ემსახურება ეგრედ წოდებული „ცენტრი". რასაც თვითონ სოციალ-დემოკრატია ვერ ბედავს და ვერ ახერხებს იმას პირნათლად ასრულებს პოპულიარული „ცენტრი". სამაგიეროდ „ერთობა" და „ბორბა" მზად არიან ცენტრი დაიცვან ყოველ გაწბილებისაგან. ვაი იმას ვინც გაბედავს ცენტრის გაწბილებას, ის უეჭველად ხულიგანად და პურიშკევიჩად იქმნება მონათლული. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ეხლა იმ ასაკში აღარ ვიმყოფებით, რომ სოციალ-დემოკრატიის მუქარამ ლერწამივით მოგვგრიხოს და გონება დაგვიბნელოს.

მართლაც, თუ „ერთობა" ასე გატაცებულია საზოგადოდ მუშათა და სალდათების საბჭოს სიყვარულით გვიპასუხონ პირდაპირ: რად ასამარებს „ერთობა" მაგალითად პეტროგრადში არსებულ რუსეთის მუშათა სალდათთა და გლეხთა ცენტრს? ნუთუ რევოლიუციის აკვანია ტფილისის ცენტრი და პეტროგრადის კი არა?! მკითხველი მყისვე მიხვდება რაშიაც არის საქმე: ტფილისის ცენტრი მენშევიკური, პეტროგრადის—ბოლშევიკური. „ერთობას" კი რევოლიუციონური კი არ აინტერესებს, არამედ მენშევიკური, პარტიული და არა ეროვნული.

„ერთობას" სურს მენშევიკურ „ცენტრს" სოციალისტ-ფედერალისტებმა გუნდრუკი უკმეხ მაშინ, როდესაც იგი ცენტრი ერებს შეურაცყოფას აყენებს და პასუხის მაგიერ „ცენტრის" სიდიადეს, გველაპარაკება. რომ ამ გზით „ერთობა" და ცენტრი ვერაფერს გააწყობს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ მენშევიკურმა ცენტრებმა და ეროვნების ცენტრებმა რუსეთი დაღუპვის კარამდე მიიყვანეს და ვერ გაგვიგია „ერთობა" რომელ ბრძნულ პოლიტიკას, ლაპარაკობს. ნუ თუ ეს სიბრძნე რუსეთში არ გამოიღებდა საოცნადო ნაყოფს?

„ერთობა" მალავს აქაურ ცენტრის მრავალ შეცდომას, რომლითაც დასუტდა კომისარიატი და გამეფდა ანარქია. ცენტრი მრავალ მთავრობის საბაბი შეიქნა და რაც ამის გამო არევ-დარევა გამეფდა ხალხში—ამას ვერავინ დამალავს რამდენიც არ უნდა იკიოლოს „ერთობის" პუბლიცისტებმა. საკვირველი ის არის, რომ „ერთობა" ცდილობს ცენტრის სამთავრობო-საკონსტიტუციო მუშაობის გამართლებას, იგი სწერს: „სეიმის მოწვევის შემდეგ კანონმდებლობა სეიმის ხელში გადადისო", მაგრამ „ერთობას" დავიწყებია ელემენტარული ცოდნა პარლამენტარიზმისა. სეიმი იქნება თუ არ იქნება, პროვიზორულ კანონების გამოცემის უფლება აქვს **მხოლოდ მთავრობას** და არა რომელიმე ორგანიზაციას, მთავრობის კანონი კი პროვიზორულ ხასიათის არის და ძალა აქვს პარლამენტის გახსნამდე. სოციალ-დემოკრატიას კი უნდა თავის ხელში დაიტოვოს უფლება კანონების გამოცემისა და ამნაირად კიდევ უფრო განამტკიცოს **პარტიული** ძლიერება.

ჩვენ ყოველთვის ვიდექით და ეხლაც ვიცავთ პარლამენტარიზმის პრინციპს და ამ პრინციპს არასოდეს დავღუპავთ პარტიულ პოლიტიკისათვის, როგორც ამას სჩადის გაზეთი „ერთობა". მენშევიკები აწბილებენ პარლამენტარიზმს და გვაწბილებენ ჩვენც ათასგვარ დემაგოგიით, რომელსაც მხოლოდ ყვითელ პრესაში ექნებოდა ადგილი. „რა უნდა მოვსთხოვოთ მცოდნე ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელიც იმ დროს, როცა ჩვენი დემოკრატია იბრძოდა, ქართულს კლუბში ლოტოს თამაშობდაო". რა უნდა ვსთქვათ ამ უმგვანო კამპანიაზე? თუ რიგიანობის ნატამალი შერჩენია „ერთობას" დაასახელოს რომელი სოციალისტ-ფედერალისტი ნახა ლოტოს თამაშში დემოკრატიის ბრძოლის დროს?—ჩვენ მოვითხოვთ პირდაპირ დასახელებას ასეთი პირგზისას.

კიდევ საზიზღარი ჭორი: „მის წარმომადგენლებს თვითმპყრობელობის სამსახურში ამოსდიოდათ სულიო"—ამბობს „ერთობა". თუ რიგიანობის ნატამალი შერჩენია „ერთობას"—დაგვისახელოს: სად ნახა ასეთ სამარცხვინო პოსტზე ლასხიშვილი, რცხილაძე, ფირცხალავა, ბარათაშვილი, მესხიშვილი და სხვები?—ჩვენ მოვითხოვთ პირდაპირ დასახელებას ფაქტების.

„ერთობა" მ დააწვრილმანა ბრძოლა, აზრი დაუკარგა პოლემიკას. „პატარა კაცების ხელში პაწია საქმე ბუმბერაზად იქცევაო"—ამბობდა ოლიგერ გოლდსმიტი, „ერთობაც" პაწაწინა საქმეებით და მეწვრილმანის ანგარიშით ცდილობს ფონს გასვლას. ეს გზა დაგვილოცნია გიზეთისათვის. ასეთ ორგანოს ჩვენ ყოველგვარ პასუხის-მგებლობისაგან ვანთავისუფლებთ, ასეთი ორგანო ყველაფერს იკადრებს და ჩაიდენს. დეე ჩაიდინოს. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. კაი ხანია ჩვენი ძალები რევოლიუციონურ წესიერებას იცავენ ქუთაისში, ტფილისში, სოფლებში, იცავენ სასახლეს, არსენალს, ეღვიძებენ სოციალისტურ და დემოკრატიულ აზრებს, საბშობლოს სიყვარულს, მტლად ეედებიან ერის საქმეს და მებრძოლ რაზმებით იცავენ ციხეებს. „ერთობა" ყოველივე ამას ვერ ხედავს, მაგრამ რომც ხედავდეს—იმის არც გამბედაობა აქვს, რომ პარტიულ სიკეთისათვის აღნუსხოს და კი ვერ ილანძღოს. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ კაი ხანია „ერთობის" ვიწრო პარტიულ ანგარიშებს უყურადღებოდ ვსტოვებთ და პირნათლად ვემსახურებით იმ საქმეებს რისთვისაც დიდი ხანია ვმუშაობთ.

თედო ლლონტი.

საზავო დელეგაციათა ფუსვედრა ტრაპიზონში

ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარემ და ამიერ-კავკასიის მთავრობამ 28 თებერვალს ბათომით ტრაპიზონიდან ასეთი დეპეშა მიიღეს საზავო დელეგაციის თავმჯდომარის ა. ი. ჩხენკელისაგან: ოსმალეთის საზავო დელეგაცია ჩამოვიდა დღეს. 27 თებერვალს კრეისერ „შესგეც"-ზე. დელეგაცია ხუთი კაცისაგან შესდგება საზღვაო პოლკოვნიკის რაუფ-ბეის თავმჯდომარეობით. დელეგაციაში ორი სამხედრო პირია და ორი ცივილური, ოსმალოს ჩამოსვლისათანავე ჩვენი დელეგაციის მდივანი მათ მიესალმა კრეისერზე, რის შემდეგ ერთ-ერთი ოსმალოს დელეგატთაგანი ჩვენთან მოვიდა შესახვედრად დროსა და ადგილის დანიშვნისათვის. რათა რამდენიმე წინასწარი საკითხი გარკვეულიყო, მე და რაუფ-ბეი შეეხვდით იმ სახლში, რომელიც დანიშნულია სხდომებისთვის. ვინაიდან ჩვენ არ ვიცით ოსმალეთის მთავრობის პასუხი ჩვენის დეპეშისა შესახებ ჩვენი ოლქების ევაკუაციისა, მე დელეგაციის თავმჯდომარეს ასეთი კითხვა მივეცი, იცის თუ არა მან ოსმალოს გენერალი სიმუსის წინადადება და ესმის თუ არა თავმჯდომარეს ეს წინადადება, როგორც ოტტომანურ მთავრობის უფლებლობა განაგრძობილი იყოს ჩვენი საზავო მოლაპარაკება. თავმჯდომარემ შესახებ ამ წინადადებისა მიპასუხა—არა ვიცით რა ამისი ... და მთხოვა ჩვენი კითხვა წერილობით მიეცეთ და თავიანთ პასუხის შესახებ მოსალაპარაკებლად და პასუხის წერილობით აღნუსხვისთვის ითხოვა დრო. ამასთანავე მათ მაინც განაცხადეს, რომ მათი მიზანია შეიკვრას მტკიცე ზავი. დღეს ნაპირზე გამოვალთ საზავო მოლაპარაკებისათვის.

ზავი ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატს ორი დეპეშა მოუვიდა: ერთი ამ.-კავკ. დელეგაციის თავმჯდომარის—ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი 25 თებერვალს 22 საათსა და 9 წუთზე, სადაც იგი იცნობება, რომ ადგილობრივ მთავრობის სიტყვით, საზავო დელეგაცია სტამბოლიდან ტრაპიზონისაკენ უკვე წამოსულია და ტრაპიზონში ჩამოვა 26 თებერვალსო.

მეორე დეპეშა ანოლოგიური შინაარსისა ვეზიბ-ფაშას გენ. ოდიშელიძესთვის გამოუგზავნია, სადაც იგი იუწყება, რომ საზავო დელეგაცია წამოსულა სტამბოლიდან 3 მარტს (ახ. სტ.) ე. ი. 23 თებერვალს.

—

აკ. ჩხენკელი ტრაპიზონიდან რადიოთი იუწყება 27 თებერვლის თარიღით: დეპეშა მივიღე სტამბოლიდან, რომ ოსმალთა დელეგაცია სტამბოლიდან უკვე გამოვიდა და 5 ნახევ. საათზე აქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შუალამის 12 საათზე ის ჯერ არ ჩამოსულაო.

ბათომის ერთობა

ბათომიდან ... მივიღეთ:

„სამწუხარო ამბავმა ბათომის, ყარსის და არტაანის მიყოდვის შესახებ ოსმალეთისათვის საშშობლოს მოღალატეების მიერ შეაერთა ყველა პოლიტიკური პარტია მენშევიკებით სათავეში, ყველა ერთხმად მოუწოდებს შეიარაღებული ძალით დაიცვან თავისი სამშობლოს სამხედრო საზღვრები. აღშფოთებული გურია წყვეტილ-კრულვას უგზავნის რევოლიუციისა და საშშობლოსათვის დამღუპველ პოლიტიკას სახალხო კომისრების მთავრობისა. ხალხი შეიარაღდა თავდაცვისათვის. ზოხელეთა რაზმები იგზავნება ბათომში. მობილიზაცია 27 თებერვლის საათვის დაინიშნა, რევოლიუციის წლისთავის დღეს. მრავალ რიცხოვანმა მიტინგი ესალმება სეიმის გადწყვეტილებას, რომ გორც ერთად ერთ რევოლიუციონურ მთავრობასა მუხლმოდრეკით ფიცს სდებენ სისხლით დაიცვან თავისი სამშობლოს საზღვრები და სეიმის სიმაღლეებით სთხოვენ საზავო დელეგაციას მშობელი მიწის არც ერთი ნაბერი არ დაუთმონ ოსმალთა იმპერიალიზმს.

სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე
ვიქტორ ლლონტი.

ომი თუ ზავი

ჩრდილოეთის ფრონტი.

ბოლშევიკური წყაროებიდან გადმოგვცემენ: ჩრდილოეთის ფრონტზე მეზღვაურებმა, ლატიშთა ნაწილებმა და წითელ რაზმელებმა თავდამცველი ჯგუფი შეადგინეს. ზოგიერთ პუნქტში შეტევა შეაჩერეს.

როგნო.

მოსული ცნობებით როგნოში გერმანელები ჯერ არ შესულან, მხოლოდ უკრაინის ჯარი შევიდა. ლუცკი და ბორკი დაიკავეს ან უკრაინელებმა, ან პოლონელებმა.

რუსების მობილიზაცია.

ორიოლიდან იუწყებიან, რომ რევოლიუციონური მობილიზაცია მცხოვრებთა შორის ნაყოფიერად სწარმოებს. შესდგა წითელ რაზმელთა და მოხალისეთა რაზმი. ხალხში ადფრთოვანება ეზრნევა.

ნოვგოროდიდანაც იტყობინებიან, რომ იქაც სდგება მოხალისეთა რაზმები ძველ ჯარისკაცებიდან.

იარაღი ყოველნაირი აქვსთ. განწყობილება მოლშევიკურია.

პოლონელები მინსკში.

პეტროგრადიდან კრილენკოს ცნობებიდ მოვიდა, რომ მინსკი პოლონელთა ჯარმა დაიკავა; ეს ჯარი გერმანულ ლაშქართან მიდიოდა შესაერთებლად.

გერმანელი ჯარისკაცები.

ავსტრიის ბიურო იუწყება, რომ ის ჯარი, რომელიც ფელიკორუსეთის ფრონტზე იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გერმანელებისგან შემდგარა.

— ავსტრიელ პოლკებში ზოგიერ ადგილას არეულობამ იჩინა თავი.

— ჰოფსოლიდან იტყობინებიან, გერმანულ რაზმის გადმოსხმის დ არეულობა მოხდა ჯარში. გერმან ჯარისკაცებმა უარი სთქვეს უფრ ბრძანების ასრულებაზე და მოითხ დენ საომარი მოქმედების შეწყვეტას. შეიარაღებული ჯარისკაცები თავს დაეცნენ ოფიცრებს, დაიღუპა 54 გერმანელი ოფიცერი.

ომი

პალესტინის ფრონტი.

27 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა რადიოთი შემდეგი ცნობა მიიღო ბათომიდან, ცნობას ოსმალეთი გადმოსცემს:

„ელ-კაფეს პეტრომის და ნებიზილნის რაიონში ავანპოსტებზე შეტაკება იყო, რომელშიც ჩვენ ჩვენი გეგმის თანახმად ვერიდებოდით სერიოზულ შეტაკებას. წინა ღამით, ადგილსაგლეთით მტრის მზვერავთა რაზმის მოქმედება გაძლიერდა. ჩვენ ხელის გრანატებით გეგრძოდით და მტერი უკუვაქციეთ. დილით ადრე ძლიერი საართილერიო ცეცხლი გაიხადეს და შემდეგ მტრის იერიში დაიწყო. ჩვენ უკან ვიხევდით. მტერმა დაიკავა კაპოაველი, ოტარა და სილვატი. მტრის შემოტევა ბურ ბერდავინზე უკუ ვაქციეთ. მაგრამ მთავარი შემოტევა აზურ-სლინის სიმაღლის წინააღმდეგ არის მიმართული ბლის პოზიციებისკენ. ეს პოზიციები ჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში.

დასასრულ ჩვენ ისინი დავიკავეთ ჩვენი ჯარის გმირული მოქმედების წყალობით. დასავლეთ იორდანის ფრონტის მარცხენა ფრთით ჩვენ შეტაკება გვქონდა პატრულებთან, რომელშიც ჩვენ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. მტრის იერიში ჩვენ უკუვაქციეთ. მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. ჩვენ ყველა პოზიცია დავიკავეთ. არხრუმი-საკენ წაწევის დროს სომხებმა ჯინჩის დასავლეთით იერიში მოიტანეს ჩვენ მოწინავე რაზმებზე. სომხები, საგრძნობლად დაზიანებულნი უკუქცეულ იქმნენ. გეტმასში ეჯანყებულები საგრძნობლად დავამარცხეთ. ისინი სამხრეთით წავიდნენ.

დასავლეთის ფრონტი.

გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ცნობა. ბერლინი 11 მარტი.

გაცხოველდა სიარტილერიო ბრძოლა. მზვერავ რაზმების ცხოველი მოქმედება გრძელდება. ჩვენი რაზმები შეიჭრნენ რამდენიმე პუნქტში ფლანდრიის ფრონტისა, არმენტიერის ოლქში და მაასის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ. მათ ხელთ ჩაიგდეს ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები. უკანასკნელ ხნების მოქმედების დროს რვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ ვისარგებლეთ რაკეთებით „ბლიკსტოლე“, რომლითაც ჩვენ ხშირად ვსარგებლობდით და რომელიც ფრანგებმა ტაძარზე ადმართეს.

არეულობა ამიერ-კავკასიაში

ყარადები აგტაგლაში. ნავთლუღიდან სადგურის უფროსი ინაიშვილი 27 თებერვალს დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: ეხლა სადგურ აგტაგლიადან მიღებულია ორი დეპეშა, ერთი გამოგზავნილია დღის 7 ს. 25 წ., მეორე—7 ს. 50 წ.: „სადგურ აგტაგლასთან მოგროვდა ყარადების ბრბო, მგზავრები გაძარცვეს. ემზადებიან ტფილისიდან მომავალ მატარებლის გასაძარცვავად საჭიროა ზომების მიღება.

—

ბაკლანიდან დეპუტატები ჯაფაროვი და კოჯაევი 27 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებენ: ეშელონები გარეჯიდან შვიდობიანად წავიდნენ. მცხოვრებთა შორის მშვიდობიანობაა. ექსცესები არ ყოფილა.

—

ძეგამიდან აგენტი შათირიშვილი 27 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს, რომ ხიდი № 426 ვერსზე გასწორებულია, გზა გახსნილია, ეშელონი გაგზავნილია.

—

სადგური აკტაფა. სადგურ აქტაფაში, გამვლელ 9 ეშელონმა დაარბია სადგურის კასა, დაიტაცეს სამგზავრო ბილეთები და 9 მ. 75 კაპ. ამის შესახებ აცნობეს ეშელონების უფროსს. კასის გატეხის შემდეგ ეშელონთა ერთში ნაწილმა დაარბია თვით სადგური. ამ დროს მოსულმა ჯავშნიან მატარებლის უფროსმა უბრძანა უკანასკნელად მიმავალ ეშელონს აღმოიჩინა დამნაშავენი და უკან დაებრუნებინა დატაცებული საქონელი.

საქარ. ეროვნული საბჭო

საერობო კავშირის ტეხნიკური განყოფილება ატყობინებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ თანახმად ერ. საბჭოს თხოვნისა მათთვის იყო დანიშნული ავტომობილი „პატფონდერ“. რემონტის შემდეგ ეს ავტომობილი რამოდენიმე საათით ათხოვეს ტერგზარიანცს, რომელსაც ის ჯერ არ დაუბრუნებია. დაიბრუნებს თუ არა ტერ გზარიანცი ავტომობილს. მაშინვე გამოგზავნიან ეროვნულ საბჭოს.

—

სომხების ეროვნულ საბჭოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აცნობა, ყოველგვარ უსიამოვნების ასაცილებლად, რომ ქართველ კათოლიკეთა დოკუმენტებზე შენიშვნა იქნება, რომ ისინი ქართველები არიან და ამისათვის უნდა ჩაიწერნენ ქართულ სამხედრო ნაწილებში.

—

რეფერატები. დაადგინა ქართველ მასწავლებლებისათვის მოეწყოს სისტემატიური კითხვა რეფერატებისა განსაკუთრებით საპედაგოგიო შინაარსისა. რეფერატებს წაიკითხავენ კვირაობით, როცა მასწავლებლებს სცალიანთ, ან ეროვნულ საბჭოს დარბაზში ან ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

—

მასწავლებლების დანიშვნა. საერო განათლების სექციამ წინამძღვარიანთკარის სკოლაში მასწავლებლად გაამწესა გრ. მაჭავარიანი.

—

დახმარება ქართ. გიმნაზიას, ამავე სექციამ დაადგინა ტფილისის ქართულ გიმნაზიას მიეცეს ყოველ წლიურ დახმარებად 85 ათასი მანეთი და ეთხოვოს, რომ გიმნაზიის შესახებ საკითხების გარჩევის დროს გიმნაზიის კომიტეტმა თავის ერთ-ერთი წარმომადგენელი გაგზავნოს სექციის სხდომებზე.

—

აბასთუმანის ყრილობა. ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჩოჩიას ავალებს დესეროს მაჰმადიანთა ყრილობას აბასთუმანში, როგორც ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.

—

ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დანიშნა ქართველ კორპუსის უფროსად გენერალი ვახ. გაბაშვილი, ახმეტელაშვილის მაგივრად, შტაბის უფროსად პოლკოვნიკი ზაქარიაძე, გედევანიშვილის ნაცვლად.

—

ეროვნულ საბჭოს დავალებით დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ იქმნა ეროვნულ საბჭოს და ყველა პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენლები რათა ხალხს დღევანდელი მდგომარეობის სიმძიმე განუმარტონ და აუხსნან თუ რამდენად საჭიროა საქართველოს დასაცავად მოხალისეთა რაზმში ჩაწერა.

ახალი ამბავი

ბოროტმოქმედება. 28 საღამოს 10 საათზე, მიკვლევის ქუჩაზე იპოვეს ტომარაში 14 წლის ქალი, რომელიც თოკით დაუხვრეს ჩვიათ.

არეულობა სოფ. დ. სიღნაღის მაზრაში ს. ხირსაში დაიწყო მოძრაობა მემამულეების წინააღმდეგ.

პეტროგრადის ამბავი. 27 თებერვლის თარიღით „ცარსკოე სელო“-დან ბათუმში რადიო დეპეშით იტყობინებიან: მთავრობა გადავიდა მოსკოვში, ყოველივე ცნობა მთავრობის სახელზე მოსკოვში გაიგზავნოს,

ქართული კორპუსის ინჟენერი მოეწოდებს მოწაფეებს განსაკუთრებით ტექნიკებს საშალო სასწავლებლის ცოდნით, რომელთაც შედარებით კარგათ იციან სლესარის, ტოკარის და სხვა ხელობა, დაეშვრნენ და ჩაეწერონ საავიაციო რაზმში. პირობების გასაგებად და ჩასაწერად საჭიროა მიმართოთ კურპუსის ინჟენერის სამმართველოში ყოველ დღე (10 ს.—3 საათ.) მიხეილის პროსპექტი ყოფილ სამხედრო სასწავლებელში, ვინაიდან დღევანდელ განსაკუთრებულ მომენტში ამ რაზმის სწრაფ შედგენას აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა, მოუწოდებთ ახალგაზრ და მამულიშვილებს დაუყოვნებლივ შეასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა და დაეშურნენ ჩასაწერად.

საუფრადლებო წარმოდგენა. შაბათს, 10 მარტს ქართველ მსახიობთა მიერ ქართულ კლუბის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ვ. გორკის მიერ გადმოკეთებული პიესა ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან „მოლიბულ გზაზე“. ეს პიესა ქუთაისში შარშანწინდელ სეზონში იყო წარმოდგენილი

სოფლად და ქალაქად

ქ. ზ ი ბ ი.

18 თებერვლიდან დაარსდა დ. ლი. პარტიანის ინიციატორობით მეთოთხმეტე კავკასიის საპოზიციო ბატარეია, რომელშიაც ჯერ-ჯერობათ ჩაწერილია 30 სტუდენტი და 5 უფროს კლასების გიმნაზიელი.

ადგილობრივი რევოლუციონური ტრიბუნალი 19 თებერვლიდან შეუდგა მუშაობას.

17 თებერვალს ლ. ზოდელავამ მიიღო სამი ვაგონი ნავთი, რომელსაც პირველი 3 დღე ყიდიდა ექვს შაურად, ხოლო შემდეგ დ. დღესაც ყიდის ორ-ორ აბაზად გირვანქას.

საქ. სოც.-ფედ. საარ. პარტიაში

დღეს, 1 მარტს საღამოს 7 საათზე დანიშნულია კრება ტფილისის კომიტეტისა, პარტიის ბინაზე ლორისმელიქოვის ქუჩა № 1 კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

— **ხუთშაბათს, 1 მარტს, საღამოს 6 საათზე პარტიის კლუბში დანიშნულია ს.-ფედ. მუშმთა კავშირის გამგეობის კრება.**

† სოლო უაზანაშვილი

კიდევ ერთი ამხანაგი დავკარგეთ. კიდევ გამოაკლდა სოც.-ფედ. პარტიის თელავის ორგანიზაციას ერთი საუკეთესო ამხანაგი. გამოაკლდა კი არა, გამოასალმეს, მოჰკლეს წითელ გვარდიელებისა და სალდათების შეტაკების დროს სალდათის შინელიან თავისივე ძმებმა, ვისთვისაც ასე შესტკიოდა გული და სიცოცხლეს არა ჰბოგავდა, ეჯანყებულ ჯარის-კაცის დასამორჩილებლად რასაკვირველია ერთი ბომბის გადაგდება კმაროდა, მ. გრამ სოლომ არ მოინდომა ძმათა სისხლის დაღვრა. თვითონ მიდის იმათთან მოსალაპარაკებლად ისინი კი ტყვიით და ხიშტებით უპასუხებენ...

სოლო უაზანაშვილი ჩვენი პარტიის დაარსებიდანვე მუშაობდა თელავის ორგანიზაციაში. მუშაობდა ის შავბნელ რეაქციის დროს, როცა არა თუ მოქმედება სიტყვის თქმაც კი საშიში იყო და აკი სოლოც არ ასცდა ბნელ ციხეს, თუმცა მაშინ ისევ გაანთავისუფლეს. მაგრამ შემდეგ უიქვილია ისევ დაჭერა მოელოდა და აი ხვათა შორის ეს იყო მიზეზი, რომ იგი სწყდება საყვარელ საქმეს, სტოვებს სამშობლო მხარეს და მიდის შორეულ აღმოსავლეთში. რამდენიმე წლის შემდეგ ბრუნდება თელავში, იწყებს მშვიდობიან ცხოვრებას, მუდამ ცოცხალი, მუდამ დაუზარელი მხურვალე მონაწილეობას ღებულ ხსვა და სხვა საღამოებში, როგორც მომღერალი—მსახიობი, მაგრამ ცხადდება საერთაშორისო ომი და როგორც სათადარიგო ოფიცერს იწვევენ ჯარში.

ეროვნულ ჯარის შედგენს შემდეგ იგი ბრუნდება თელავში და ეწერება აქ მდგომ ქართულ პოლკში. როგორც ყველა საქმეში აქაც იგი აქტივობას იჩენს, ცდილობს გადაარჩინოს ჯარის-კაცები ნაძარცვლების ზეგავლენისაგან. იღვრება ძმათა სისხლი, აქაც არ შეუძლიან მას პასიურად დარჩეს და მსხვერპლად ეწირება...

ეი ასეთი თავ-განწირული ამხანაგი დავკარგეთ სოლო უაზანაშვილის პიროვნებაში.

მშვიდობით ერთგულო ამხანაგო, მშვიდობით მოვალეობის უმანკო მსხვერპლო. იცოდე შენი ხსოვნა სამარადისოდ დაუვიწყარი იქნება შენ ამხანაგთა შორის.

ვ. ბაბატაშვილი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

26 თებერვლის სხდომა.

სხდომას საღამოს ექვსის ნახევარზე ხსნის კ. ჩხეიძე, რომელიც სეიმს მოკლედ მოახსენებს მიზეზს არაჩვეულებრივი სხდომის მოწვევისს, ვეხებ ფაშას წინადადებას ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების დაცლის თაობაზე.

ვრცელ განმარტებას ამის შესახებ იძლევა კომისარიატის თავმჯდომარე **ეგო გეგეჭკორი.**

იგი გადმოსცემს იმ დეპეშებს, რომელნიც [illegible] ფაშას [illegible] [illegible] [illegible] ოლქებიდან [illegible] [illegible] [illegible] ბლს [illegible] [illegible] ჯდომარის და სეიმის თავმჯდომარისგან ხელმოწერილს 3 სუხს ევაკუაციის თაობაზე. ყველა ამათი შინაარსი აქ აღარ მოგვყავს, რადგან ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოყვანილი.

ამათ გეგეჭკორი დასძენს ორ დეპეშას, რომელიც ცოტა არ იყოს ამოშმინებს შეფიქრიანებულს საზოგადოებას, ერთი მათგანი გამოგზავნილია დელეგაციის თავმჯდომარის—ჩხენკელისგან 25 თებერვალს 22 საათსა და 9 წუთზე, სადაც იგი იტყობინება, რომ ადგილობრივ მთავრობის სიტყვით, საზავო დელეგაციას სტამბოლიდან ტრაპიზონის კენ უკვე წამოსულია და ტრაპიზონში ჩ მოვა 23 თებერვალს. მეორე დეპეშა ანალოგიური შინაარსისა ვეზიბ-ფაშას გენ. ოლიშელ ძისთვის გამოუგზავნია, სადაც იგი იუწყება, რომ საზავო დელეგაცია წამოსულა სტამბოლიდან 8 მარტს (ძ. სტ.), ე. ი. 23 თებერვალს.

გარდა ამისა—განგრძობს მთავრობის წარმომადგენელი—შემოძლიან მოგახსენოთ, რომ თურქები აძლიერებენ თავიანთ ძალას—ჯარს ტრაპიზონის მიმართულებით, ისანთვის ევროპის საომო ასპარეზიდან რამდენიმე დივიზია არის გადმოყვანილიო.

ეი ამის შესახებ სეიმს ვსთხოვ—ამბობდა გეგეჭკორი—გამოსთქვას თავის აზრი, თუ როგორ უყურებს გაზინ ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს: იწონებს თუ იწუნებს? ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ყოველთვის ერთ გეზს ადგა და გადაუხვევლივ მისდევდა დაუბანებლივ ზავის დამკვიდრების გზას. და ხანდახან ამ მიზნით კომისარიატი იძულებული იყო თანხმობა ეკისრა ზავის ჩქარა ჩამოგდებაში და ამიტომ თავისით დროებითი ზავი შეჰკრა ოსმალოსთან.

ოსმალეთის მთავრობის წინადადება—მე ღრმად ვარ დარწმუნებული—წრფელი იყო, თუმც ვეზიბ-ფაშა უკანასკნელ დეპეშად ეს ოფიცია ცოტა ოდენ შემირყია. ოსმალეთის მთავრობამ იცის, რომ ოქტომბრის ამბების მერე ჩვენ არა თუ ოპოზიციას წარმოვადგენთ იმ მთავრობისას, ეხლა რომ რუსეთის სათავეში სდგას, პირიქით, ჩვენ არც კი აღვიარეთ იგი მთავრობა კანონიერად. ასე რომ შესახებ ჩვენს ბოლშევიკებთან დამოკიდებულებისა ოსმალეთს არავითარი ეჭვი არ ჰქონდა და არც ექნებოდა, მით უფრო რომ ამიერკავკასია არა ერთხელ დამოუკიდებლად მოიხსენია. და აწოლედ საკვიოველია, რომ მას სწადიან ჩვენ, დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაგვიკავშიროს იმ პირობებით რომელიც ახ ბოლშევიკეთან დასდო ბრესტ-ლიტოვსკში. ჯერ კიდევ ათ თებერვალს ოსმალეთმა ერთ-ერთ თავის დეპეშაში გამოგვიცხადა, რომ მისი დელეგაცია ძალ ზოის გამოკმეგზავნოს რათა საბოლოოდ დამკვიდრდეს ჩვენ შორის კეთილმეზობლური გან უფილება და ალიაროთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. ასეთ ავასხად

ამ რიგად, თათრობა რაოდენობით ორჯერ მეტია სომხობაზე და ქართველებთან და ბერძნებთან ერთად თითქმის სამჯერ მეტი.

თვითონ სამაზრო ცენტრს, შულავერს, როგორც ქალაქს სათვალავში ვერ მივიღებთ. სოფლის სოფლებთან შულავერის შემატება—თუმცა 816 ოჯახში სხვა ეროვნებაც უფიგია—სრულებით სცვლის ზეშოდ მოყვანილს ცხრილს: ჯერ ერთი, ჭქონის ყალბ შეთანხმებულებას სომხურ უმრავლესობისას ძალი 50 ვერსს (სიგრძე-სიგანით) მანძილზე: მეორეც—ჰაადავს შესაძლებლობას, რომ ეოთს ქალაქს, ერთი ქალაქის მცხოვრებთა არსებითად წმინდა ბურჟუაზიულ და ქალაქურ ინტელიგენციას შეეწირეთ ორძოციოდე სოფლისა და ეეეერთელა ტერიტორიის მქონე გლეხობის ინტერესი, თუნდაც ტფილისთან კავშირის გაწყვეტის გამო.

ტოპოგრაფიულადაც ამ ტერიტორიის შეერთება განძრახულ ლორის მაზრასთან მოუხერხებელი ხდება, თუ ზედ არ მიაყოლე სამხრეთით მდებარე ალავერდს სასოფლო საზოგადოება (4 სოფელი—411 ოჯახით), რომელიც შეურყველად ტფილისის ორიენტაციაზე სდგას. ცალკეც რომ ავიღოთ შულაკერის და ოფრეთის საზოგადოებანი, როგორც უმთავრესად სომხებით დასახლებულნი, მაინც ძალი ლორის მაზრასთან შეერთება შეუძლებელია, რადგანაც გარშემორტყმულნი თათრის სოფლებით ესენი განმარტოებულნი რჩებიან და მათა და სომხური ლორის შორის მდებარეობენ ალავერდისა და სადახლოს საზოგადოებანი, რომელნიც რამდენადაც ვიცით ჩვენ, ალექსანდროპოლის გუბერნიაში მოთავსებას არ მოისურვებენ, (ტფილისი მათგან 35—50 ვერსის მანძილზეა დაშორებული).

(დასასრული იქნება)

ვ. ბაბაძე.

ტაშირ-ლორის გამიჯვნისთვის.

(გაგრძელება*)

ქვემო (აღმოსავლეთი) ლორში ოთხი სოფლის საზოგადოებაა: კურთანის, შუნლიბარის, დესნის და პრივოლნისა, გარდა თვითონ სოფ. პრივოლნისა—სულ 34 სოფელია 3927 ოჯახით. ორი ბერძნის სოფლის (კოლოსისა 143 ოჯ. და იადდანისა—87 ოჯ.) გარეს სოფლები სულ მთლად სომხეთია.

[illegible] გარემოებაც უნდა აღვნიშნავ. ტოპოგრაფიულად ზემო ლორის [illegible] ვის კიდევ ორი პატარა სომხის [illegible]ფელი: ჰაიდარბეგი (120 ოჯახი) და [illegible]ურუტი (104 ოჯ.). ზემო ლორიან ამ ორი სოფლის მიმატებას არაფერი ცვლილება არ შეაქვს ზემოთ მოყვანილ საერთო ეტნოგრაფიულ სურათში. მხოლოდ აშ მიმატებით, ზემო და ქვემო ლორის ეტნოგრაფიული და ტოპოგრაფიული საზღვარი ერთი და იგივე ხდება და ამ საზღვრის ხაზი 3-ვერსიან რუქაზე ასეთი იქნება: მთა ლეჯან, ალექსანდროვკა, ნიკოლაევკა და ს. რუსკიე გერგერი. ამავე რუქაზე საჭიროდ მიგვაჩნია ქვემო ლორის ჩრდილოეთის საზღვარის ხაზიც გავიყვანოთ. ეს იქნება: მთა ლეჯან, მთა აკუტ-ჩი და სოფელ აქორის ხაზი. ეს ორი ხაზი ჩვენ დიდ მნიშვნელოვან ხაზებად მიგვაჩნია და გვგონია, რომ როგორც უნდა და როდესაც უნდა გადაწყდეს ამ ადგილების გადამიჯვნის საქმე, მოყვანილ საზღვრებს აუცილებლად გადაწყვეტი მნიშვნელობა მიეცემა.

ბუნებითაც, სამეურნეო კულტურით, ზემო და ქვემო ლორი თვალსაჩინოდ განირჩევიან. ზემო ლორში უფრო სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთრებია; პური თითქმის სრულებით არ მოდის. სამაგიეროდ ზემო ლორი და მისი მთები განთქმულია თავისი სათიბი მინაგურებით და შესანიშნავი ეილაღებით. ადგილობრივი საქონლის გარდა, ზემო ლორში ზაფხულობით იკვებება სხვა მაზრებიდან მოსული მილიონობით ცხვარი და სხვილი საქონელი. ამასთან ერთად, სამეწყალმომქმედო საშინისტროს ყოველწლივ აქედან 200 ათასამდე ფუთი თივა გაქვს ჯარისათვის. გლეხობა განსაკუთრებით საქონლის მოშენებას მისდევს. ბაყლებს და ვაჩრებს გაქვთ მატყლი და ცხვრის ყველი (50 ათასი ფუთი) თათრებისაგან პირდაპირ მთებში ნაყიდი. ზემო ლორის 23 ყველის მკეთებელი ქარხანა ყოველწლივ 40 ათასამდე მარტო შეეიცარულ ყველს ამზადებს და რუსეთში ასაღებს უმთავრესად.

ქვემო ლორი გაცილებით ზომიერი ჰავისა და მშვენიერი სახნავი მიწების წყალობით პურისა და ქერის დიდ მოსავალს იძლევა. ბლომად გაიზიდა გასულ შემოდგომას აქაური პური ერევნის გუბერნიაში. ქვემო ლორში გავრცელებულია ბაღოსნობა, მეგობსტნეობა და უმთავრესად თამბაქოს მოყვანა. სამეწყალმომქმედო სამინისტრომ შარშან გაიტანა აქედან ბზე 200 ათასამდე ფუთი. მოგვყავს ეს ციფრი, როგორც პურის მოსავალის მაჩვენებელი.

ეკონომიური მიდრეკილებითაც ზემო ლორი განსხვავდება ქვემო ლორისაგან. ზემო ლორისთვის ტფილისი გაცილებით ახლო მისაღწევია, ვიდრე ქვემო ლორისთვის: ზამთრობით, 6—8 თვის განმავლობაში ალექსანდროპოლის გზა, რომელიც ყარახაჩის მთებზე გადადის—შეკრულია. მაგრამ ამისდა მიუხედავადაც ლორი ზაფხულობითაც ტფილისთან უფრო მჭიდრო საადგილმცემო ურთიერთობით არის დაკავშირებული (იკატერინოვკის გზით)

ქვემო ლორს კი თავისი გზა აქვს ალექსანდროპოლისაკენ—ბეზობდალის გზა, რომელიც მუდმივად გახსნილია.

ტფილისში პირველად იდგმება რეჟისორობს ჰიესის ავტორი ვ. გორკიკი.

ფარმაცევტთა შორის. ხუთშაბათს 1 მარტს ფარმაცევტთა კავშირის ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 18) საღ. 9 საათზე მეორეჯერ დანიშნულია აფთიაქების მოსამსახურეთა კრება. განსახილველია: 1. სარევიზო კომისიის ანგარიში, 2. გამგეობის ანგარიში, 3. ახალი გამგეობის არჩევნები, 4. ახალ მოთხოვნათა შემუშავება და 5. მორიგი საკითხები.

ტფილისის ქარ. ქალთა ხაოსტატო ხელმანარიასთან („განათლების“ საზოგადოება) არსებული მშობელთა წრე კვირას, 4 მარტს წარმოდგენას მართავს დღის 12 საათზე კინემატოგრაფ „კინო პალასში“ ბავშვთათვის გამოწერილია საუკეთესო სურათები იქვე იქნება იაფ-ფასიანი ბუფეტი. წმინდა შემოსავალი მოხმარდება ულარიბეს მოწაფეებს. იმედია ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ სიმპატიურ განზრახვას და არ დაეშურების თავის წვლილს.

ამიერ-კავკასიის

ბორჩალოს [illegible] **ეილაღებით** [illegible] **ბენ.** [illegible] **ბორჩალოს** [illegible] **ბ.** [illegible] **ბ.** [illegible] **ბ.

დამოუკიდებლობის დაპირების შერეწინადადება—ესა და ეს ოლქები ჩვენ გადმოგვეცით და დასცალეთო, ასეთი წინადადება ცოტა არ იყოს ლოიალურად საკმარისად ვერ არის წყნდადებული.

და მე სწორედ ჩემ ვალად ვრაცხ ეს წინადადება აქ განბეჭდილი იყოს, თუ რა არის იგი: ან მართლა გაუგებრობაა უბრალო ან და ჩვენ ანგარიშს აღარ გვიწევენ და ევაკუაციას მოითხოვენ.

მე ეფიქრობ, რომ ჩვენ ყოველი ზომა და ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დღეს შერყეული ურთიერთობა საბოლოოდ მშვიდობიანი დარჩეს. ამ გზით ჩვენ ბოლომდე და უკანასკნელ შესაძლებლობამდე უნდა ვიაროთ, ვიდრე ამოგწურავდეთ ყოველნაირ საშუალებას.

თვით იმ ფაქტს, რომ ეხლა საზავო მოლაპარაკებაა და დელეგაციაც ამისთვის წავიდა, ხალხი ისე უყურებს, როგორც ზავის მოახლოვებას. ხოლო მთავრობის და თქვენი ვალიცაა ხმა ამოიღოთ და უთხრათ ხალხს, თუ რა განსაცდელის წყნაზე სდგას იგი. (ტაში).

ლებედინსკი. მთავარსარდალი რუსის ჯარისა, მოახსენებს, რომ ორ უკანასკნელ დღეში ოსმალოს დამოკიდებულება სრულებით შეიცვალა: ჩვენ კომისიას საწყობების ასაწერად აღარ უშვებენ, ბიჭდებს აგლეჯენ და ყოველსახრივ ეწინააღმდეგებიან, რომ რაიმე იქიდან გამოვიტანოთ. ახალი ძალა მოსდით ტრაპიზონისკენ, ბითლისშიც გამოჩნდა რეგულიარული მისი ჯარი.

ნ. ჟორდანია. თქვენ იცით, თუ როგორ ვიწერაფოდით ზავისაკენ რევოლუციის დასაცავად. დემოკრატია სრულებით დაინტერესებული არ არის ომი წარმოოს და ამიტომაც მიზნად დასახა ომი და სისხლის ღვრა მოსპოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დემოკრატიისთვის ყოველგვარი ომი მიუღებელი არ არის. ჩვენ ხომ ბოლშევიკები არა ვართ, რომ სიტყვით ზავი შეკრთეთ, ნამდვილად კი ხალხი გავიყოთ (ტაში). დემოკრატია ზავსა ეძებს, უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ ხალხთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. და ჩვენ გვინდა ეს ფორმულა ჩვენს საზღვარზე განვახორციელოთ. ამასთან ჩვენ გვაქვს მოსაზრებანი კონსტიტუციური ან პოლიტიკური ხასიათისა. რომ ამიერკავკასიას ჩამოაშორა ის ადგილები, რომელთაც ოსმალეთი ითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერკავკასია სასიკვდილოდ, მძიმედ დაიჭრას ეკონომიურის მხრივ. (ხმები: მართალია!) თათომი ჩვენთვის იგივეა, რაც ბ. ოკანი რუსეთისთვის და სმირნა ოსმალეთისთვის, მაშინ იგი განმარტოებულ-გარეყოლი დარჩება და მისი ნორჩი მრეწველობა ჩაჰკვდება (ხმები: სწორია!) მაშინ დასავლეთ საქართველოს ნავთსადგური ადარ ექნება, დღეს კი თათომით ჰგზავნის და ღებულ ყველაფერს, რაც კი მას ეჭირვება. ოსმალეთისთვის მას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც, როცა იგი წინად მის ხელში იყო, იგი წარმოადგენდა გაძალტყავებულ სოფელს. ეს ისეთ აიხსნება, რომ ეკონომიური ცენტრი ოსმალეთისა თათომში არ იყო მოთავსებული. არ იქნება არც ახლა.

ყარსზედაც იგივე ითქმის. ის მთავრობა, რომელიც ყარს დაეპატრონება, იქნება მბრძანებელი მთელი კავკასიისა, რადგან უყარსოდ დარჩენილ საზღვრების დასაცავად მშვიდობიანობის დროსაც კი დიდძალი ჯარი გვაქვს საჭირო.

ერთ მხრივ, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ფორმულის სასარგებლოდ მოვიყვანე საპოლიტიკო მოსაზრებანი. ჩვენ რევოლიუციამ იმიტომ [illegible] მოვახდინეთ, რომ ერთი მოერ[illegible] განთავისუფლებულებმა მეორ[illegible] ხალხი დავიდგათ? (ტაში).

[illegible] ოსმალეთის მბრძანებლები [illegible] ჩვენ თავის პირობებს, [illegible] ჩვენ უნდა გამოვეთხოვოთ რ[illegible] [illegible] და თავისუფლებასაც. [illegible] კავკასიაც ვერ ეღირსება [illegible] ეთხის გადაჭრას, რადგ[illegible] ოსმალეთშიაც ჯერ არ არის [illegible].

[illegible] დაცვა საზღვრებისა არის [illegible] ციონალ—ხალხთა თვითგამორკვევის ფორმულამ გამოიწვია ფინეთის, კურლიანდიის, ესტლანდიის, [illegible] ყარსის და ბათომის რუსეთისგან ჩამოცლა თვითგამორკვევის სახით, მაგრამ ეს თვითგამოკვეთა კი... თვითგამორკვევა კი არ არის, არამედ ანექსია. ეს არ არის დემოკრატიული ზავი. ჩვენ ამ ფორმულის განხორციელებას მოვითხოვთ არა ჩვენგან მარტო, არამედ სხვებისგანაც.

და ამ უფლების ძალით, თუ ოსმალეთი ანექსიას მოითხოვს, იმავ უფლების ძალით ჩვენ შეგვიძლიან მოვითხოვოთ აჭარა და ყარსის ოლქი იმავე უფლებით ჩვენ უნდა შემოგვიერთდეს სომხეთი. მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. დაე თვითვეულმა ერმა და ოლქმა ისე გამოარკვიოს თავის თავი, როგორც მას უყრობს.

მაგრამ თუ რომელიმე უცხო ჯარის ხიშტით მოახდა ასეთი თვითგამორკვევა, ეს თვითგამორკვევა კი არ იქნება ერისა, არამედ თვითგამორკვევა ამ ხიშტისა.

შემასალამე, დაცვა საზღვრებისა არ არის მარტო დაცვა პოლიტიკური თუ ეკონომიურ თავისუფლებისა, ეროვნული თავისუფლების დაცვაა.

ჩვენი სურვილია ჩვენს პატარა ქვეყანას მეგობრული განწყობილება ჰქონდეს ოსმალეთთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოსთან. და თუ სამარცხვინო პირობები დაგვიდეს, მაშინ ჩვენ გამოვიჩენთ უნარს არა მარტო სამარცხვინო ზავის ხელმოწერისას, არამედ იმასაც, რომ სასიკვდილოდ დავსცეთ ჩვენი ბატონი (ტაში).

შახატუნი (დაშნ.) აღნიშნავს, რომ მისი პარტია იზიარებს დემოკრატიულ ზავს იმ ფორმულით, რომელიც ჟორდანიამ მოიხსენია, თუმც ამისთვის ბევრმა ჩვენ უკმაყოფილება გამოგვიცხადეს. ჩვენ იმავ თვალსაზრისზე ვსდგევართ, როგორზედაც სეიმი სდგას და მის დაცვისთვის მზად ვართ ყოველგვარი გაჭირვება გადვიტანოთ.

ხან-ხოისკი (მუსსავატი). ეხლა დრო არ არის პრინციპებზე ლაპარაკის ანდა იმაზე ბაასის, თუ როგორ საზღვრებში მოთავსდება ჩვენი მომავალი სახელმწიფო. ამაზე ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული განცხადება წარმოდგენილი სეიმის ურთიერთ სხდომაზე და მთრხელ ახლა გამეორება თუ დადასტურება ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. ეხლა, როცა ოსმალოს დელეგაცია წამოვიდა და ხალხს ზავი სწყურიან, ნაადრევია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მოჰყვება შედეგად ზავის შეუკვრელობას. ეს საერთაშორისო უფლებაა იქნება.

ოსმალეთის მთავრობა ბოლომდე ლოიალურ თანდათანობას იჩენს. ჯერ დაკონებით თავზე გვახვევდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, მერე წინადადება მოგვცა დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში გავგზავნეთ, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ სხვა და სხვა მიზეზებით ასეთ წინადადების მიღება შეუძლებლად იცნო. დამოუკიდებლობის საკითხში უკანასკნელ სხდომაზედაც ვერ შეეთანხმდით. ასე რომ საკვირველი არ არის, რომ ამიერკავკასიას ისე უყურებდნენ, როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილს.

ლორთქიფანიძე (ს. რ.) და **ხემიონოვი** (კადეტი) ნ. ჟორდანიას ეპასუხებიან.

გეგეჭკორი უპასუხებს, ხან-ხოისკის და ეკითხება: შეეძლო განა მთავრობას და მის წევრს ხან-ხოისკის მაშინ, როცა ფრონტზე დიდძალი ჯარი იდგა, მიეღო ოსმალეთის წინადადება? განა თვითონ წევრი მთავრობისა ხან-ხოისკი მაშინ არ მიემხრო იმ პასუხს, რომელიც ჩვენ ოსმალეთს მივეცით და რომელიც ერთად ერთი შესაძლებელი პასუხი იყო იმ პირობებში? ხან-ხოისკი ნუ დაივიწყებს, რომ მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ მთელს ჩვენს სურვილს და ნებისყოფას იმისკენ წავმართავთ, რომ ზავი ჩამოვარდეს ჩვენში. და თუ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით, რომელიც ჩვენ უკითხავად დაიდო, მოგვთხოვენ ბათომს და ყარსს, განა ხან-ხოისკიმ პირველმა არ უნდა განაცხადოს პროტესტი ამის წინააღმდეგ? ჩვენ არავის არ ვემუქრებით და არც იარაღით თავსმოწონებით, მაგრამ, თუ ჩვენი დაქუცმაცება სურთ, არავის ნება არა აქვს გვითხრას, ხმას ნუ ამოიღებთ იმ ხალხის სასარგებლოდ, რომლის თავთან ამოშიშვლებულმა მახვილმა გაიპრიალა. ჩვენ უნდა ყოველ ხერხე შეეცადნეთ დავცვათ პატივი და ღირსება მთელის ამიერ-კავკასიისა.

გეგეჭკორს სიტყვას ტაშით და ოვაციებით ცენტრი და გარეშე საზოგადოება ხშირად აწყვეტინებდა.

ხან-ხოისკი. იმ უცნაურ რეპლიკას, რომლითაც გეგეჭკორმა მომმართა, მგონი, საფუძველი არ ჰქონია. აქ ეხლა იმაზე რომ არ ვმსჯელობთ, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა თუ არა. ეს კითხვა სხვებთან ერთად არა ერთხელ აქ განბეჭდილი იყო და ზავის შესაკერელად წასულ დელეგაციასაც დავავალეთ 1914 წლის საზღვრების დაცვა. ჩვენ აქ გვინდა ამბებს წინ წაუსწროთ. ეს ეს, ვიმეორებ, საერთაშორისო ერთგვარი ფატალობაა. ჩემ ბიგეთაგან არავითარი ბრალდება არ წარმოთქმულა, ევგენი პეტრესძეს! არა. დადგა დრო, როცა „ფრჩხილები“ უნდა გაიხსნას და პირდაპირ დასმულ კითხვას მოურიდებელი პასუხი მივსცეთ. ეხლა პასუხს ვერსად ვერ გავიქცევთ. ეს ამას ელაპარაკობდი მე.

კამეთი სწყდება.

ზურაბოვს შემოაქვს ფორმულა მორიგ საკითხების გადასვლისა, რომელსაც სეიმი ერთხმად იღებს.

სხდომა სრულდება საღამოს 6 ნახევარ საათს.

28 თებერვლის სხდომა.

სხდომას ხსნის კ. ჩხეიძე.

ფინანსთა კომისრის **კარჩიკიანის** წინადადებით, სეიმი ირჩევს საფინანსო კომისიას, რომელშიაც 15 კაცი შევა.

თავმჯდომარე სამანდატო კომისიისა **ალ. ლომთათიძე** მოახსენებს სხდომას დასკვნას კომისიისას შესახებ სომეხ ნაციონალ-დემოკრატების და სიონისტების შუამდგომლობათა რომ მათ სეიმში თითო ადგილი მიეცეთ. კომისიამ ეს შუამდგომლობა ერთხმად უარჰყო, რადგან სეიმისგან დაკანონებული მეტრი არც ერთს ორგანიზაციას არა აქვს: პირველმა 15 ათას ხმამდე მიიღო, ხოლო მეორემ 8 ათასამდე.

შემდეგ სხდომას მდივანი მოახსენებს, რომ სეიმის სამი წევრი „მუსსავათის“ ფრაქციისა. **მიქაილოვი, იუსუფ ზადე** და **ყულიბეგოვი** დეპუტატობაზე უარს აცხადებენ, ხოლო მათ მაგიერ სეიმში შედიან: **კაზუღოვი, ბაშიროვი** და **ყარა-ალა-ზადე.**

თავმჯდომარე სეიმს მოახსენებს, რომ სოფ. ალპანაში (ლეჩხუმის-მაზ.) მოჰკლეს ცნობილი მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის სეიმის წევრი „მენშევიკების“ ფრაქციიდან **ლევ დადეშქელიანი** და წინადადებას აძლევს სეიმს ფეხზე ადგომით პატივი სცეს მის ხსოვნას.

ამახპიური (დაშნ.) მოახსენებს განჯის ამბებს და ითხოვს დელეგაციის არჩევას.

აგაევი (მუს.) საქმიანობის გულისთვის მოიხსენიებ დელეგაციაში აირჩენენ არა სეიმის წევრნი.

ეკანასკნელი საკითხი ეხებოდა 219 პოლკის ლიკვიდაციას.

ამავ სხდომაზე დასაბეჭდებულნი იყვნენ საგანჯოდ 5 დელეგატი, რომელთაც ეგალეებათ იქაურობის დამშვიდება და საქმის გამოძიება.

შემდეგ სხდომას სეიმისას თვით პრეზიდიუმი დანიშნავს.

დიდი მიტინგი

წერილი ქობულეთიდან.

ქობულეთში შესდგა დიდი მიტინგი, დაგვწერა ხალხგადოების უმრავლესობამ, ყვანენ ბათომიდან ჩამოსულნი ქართული ბოლკის ჯარის კაცები და ოფიცრები, ბორედვე ორატორებიც, რაცხვთა შორის ერთი ტფილელი ორატორიც. პირველათ სიტყვა წარმოსთქვა არსენ წითლიძემ, რომლის სიტყვებს გულდასმით უსმენდა საზოგადოება, აუხსნა ხალხს დღევანდელი ოსმალეთის იმპერიალისტების, ფეოდალების და ფანატიკოსების აზრი და მოიხსენია ცნობილი ჯამალ-ბეგის პოლიტიკაც მისი 1905 წლის მოდვაწეობა თუ როგორ ხელს უწყობდა ბათომის გუბერნატორს რომლის საშუალებით მრავალს აჭარელს სტრადნიკებს და მამასახლისებს ბეგზავნდა გურია-იმერეთში სიციალისტების დასაჭერად და გასამთრახებლად. ილაპარაკეს ბევრედვე სხვა ორატორებმაც ალსანიშნავია რეჯებ ეფენდი ნიკარაძის სიტყვა რომელმაც უთხრა თავის მეზობლებს თუ რა შედეგი მოელის სამაჰმადიანო საქართველოს, რომ ისევ თათრის ხელში დარჩენ. დასასრულ ხალხს შემდეგის სიტყვებით მიმართა: ეხლა მეზობლებო, სასურველია გავიგოთ თქვენი აზრიც თუ რა შეხედულებას ხართ, რომ ოსმალეთმა ომი გამოუცხადოს საქართველოს, გვინდა თქვენი პასუხი ჩ. გთხოვთ ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი აზრიც გაგვაგებინოთო, რეჯებ ეფენდის უკანასკნელი სიტყვის გაგონებაზე სიტყვის ნებას თხოულობს მოხუცი გლეხი მაჰმადიანი და ადის ტრიბუნაზე შემდეგის სიტყვებით: თუ უკიდურეს შემთხვევაში შეტაკება მოუხდება ოსმალეთის ჯარს ქართველებთან, მაშინ ჩვენ ყველანი მზადა ვართ მთელის ძალღონით, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ქართველ ჯარს, ხარით, ურმით, ცხენით და სხ. მხოლოდ არ შეგვიძლია ჯარისკაცად გამოვიდეთ და ვებრძოლოთ ჩვენს ძმებს (ძმებს ძველად გასულს ქართველ მაჰმადიანებს უძახიან). უკანასკნელად სიტყვას ამბობს უბნის კომისარი მუმედ. გოგიბერიძე, ჩვენ ვართ ქართველები, ჩვენი ძმები არის გურიელები ჩვენი დედა-ენა არის ქართული, და რომც ოსალეთის ხელშიდაც ჩავრჩეთ ჩვენ იმათ ენას, იმათ ჩვეულებას ვეღარ შევითვისებთ, ჩვენ მაშინაც ქართველები ვიქნებით და ქართველებთანვე გვექნება კავშირი ჭირშიდ და ლხინშიო.

დასასრულ მიტინგი საერთოდ აცხადებს, რომ ქართველ მაჰმადიანებს გადაჭრით არ სურთ ომი, მათ გულით სწყურიათ ქვეყანას დაჩქარებით დაუბრუნდეს მშვიდი და წყნარი ცხოვრება, ამის გამო მიტინგი სასტიკად გმობს ყოველგვარ ბრეულობას და ანარქიას და მოითხოვს დაჩქარებით ჩამოვარდეს საპატიო ზავი ოსმალეთთან, სიტყვას ვსდებთ, რომ არავითარს პროვოკაციას არ ავყვეთ და რევოლიუციონური წეს-რიგი დავიცვათ.

მიტინგი იშლება დღის 4 საათზე.

ნ. შავგურიელი.

გამომცემელი
ალმასხან ფიანცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ეყიდება

ორ სართულიანი ქვის სახლი ბანკის ვალით პირობების გაგება შეიძლება თეოდოსეს ქუჩაზე, № 16 ბინა 2. 261

საჭიროა
მოსამსახურე ქალი,

ოუსულის მოლაპარაკი, რომელსაც შეიძლება სიარული სამსახურისთვის 3 საათამდე. უნდა ცხოვრობდეს მახლობლად. მისამართი: ვერა, გუნიბის ქ. № 26 ბინა № 3, პრ. ნეფეცკი. 266

საგუკეთლალტრო კურსები
ვ. კ. ტერ-დავიდოვისა

ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
ვ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. ვ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხიოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, ბ პარასკევს 3—5 ს. ოლლას ქ. № 22. 132

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათროშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

ექიმი
ფ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბჭოთა სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბჭოთა საშვილოსნო ავათმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
ვ. ვ. ფუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ვერიდანოვის ქ. № 6.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კირ-ძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბჭოთა და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ს. ზ. ბირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე

იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხარედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და ხასხლის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბო-მონდის“ პირდაპირ. 1029

ძ. კავკაზში.

ექიმი რეფაზ ალექსანდრე მე
მაჩაგელი

ღიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.

სლეპკოვის და მეშჩანურ ქუჩების ქმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი

დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშ., საბჭოთა და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოველ დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

ექიმი
ბ. ბ. მეჭრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ფილტის—ბრონქის ბ გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-ხინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა ხხიენებით, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
პავლე არდაზიანი

დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმ ნაპასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1889 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ვენერიული—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იდილის. ავადმყ.)
ბ. ბ. ავახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ბ. ბ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ეხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელოვნურ-თათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორია ა. ნავახარდიანი. 1001

„სახალხო საქმე“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. 3 მ.		
ლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I	4 „	
გრდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოელთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა“.	—	60 ک.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“	—	40 „
ლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მოლაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა
სახალხო საქმე
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲑᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
№ 14

სტამბა ასრულებს ყოველგვარ სასტამპო საქმეებს სუფთად, იაფად და [illegible] დროზე